MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
Date: 2023.12.13 12:16:48 +04'00'

119-01-4-202312121513

სხდომის ჩატარების თარიღი: 13 დეკემბერი 2023 წელი
სხდომის ჩატარების დრო და ადგილი: 10:00, ქ. თბილისი, შ. ჩიტაძის ქ. N4

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიროებათა შესყიდვების განხორციელებისათვის ტენდერების ჩატარების მიზნით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2023 წლის 27 ნოემბრის N01-576 ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი სატენდერო
კომისიის სხდომის
ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ
სატენდერო კომისიის წევრები:

1. ვლადიმერ კონსტანტინიდი - საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ნაცვლიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი, კომისიის წევრი;
3. მამუკა ბარათაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;
4. თეა ლეკვეიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, სატენდერო კომისიის წევრი;
5. ანა გიორგობიანი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი;
6. ედუარდ ალიკიანი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი.
7. გიორგი ექიზაშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), სატენდერო კომისიის წევრი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

8. კონსტანტინე ხიზანეიშვილი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების ფარგლებში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ Haier" MRV IV-c გათბობა-გაგრილების სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50700000) შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:
შესყიდვის ობიექტის ტექნიკური სპეციფიკაცია მისი სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ელექტრონული ფოსტის საშუალებით, გადაეგზავნა ბაზარზე ოპერირებად 20 (ოცი) პოტენციურ მიმწოდებელს. ბაზრის კვლევის შედეგად ფასი დააფიქსირა 2 (ორი) კომპანიამ.

შესაბამისად, მიზანშეწონილია შესყიდვის ობიექტის პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს ამ მიმწოდებლის მიერ მოწოდებული ფასის შესაბამისად - 199 721.80 (ას ოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ოცდაერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი დღგ-ს ჩათვლით. ხოლო შესყიდვის სახელშეკრულებო ღირებულება განისაზღვროს 70 000.00 (სამოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.
სატენდერო კომისიის წევრებს გადაეცათ სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს და იმსჯელეს:
სატენდერო კომისიამ განიხილა ზემოაღნიშნული ინფორმაცია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაცის პროექტი. წარმოდგენილი სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია მისაღებია და შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს''.

კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება და დადგინდა შემდეგი:
1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 121-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებულ იქნას სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გენერირებული სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი: 50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება.
3. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 199 721.80 ((ას ოთხმოცდაცხრამეტი ათას შვიდას ოცდაერთი და ოთხმოცი თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით.
4. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებად განისაზღვროს 70 000.00 (სამოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით.
5. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-121 მუხლის მე-2 პუქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სატენდერო განცხადებისა და ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის გამოქვეყნება ქართულ ენაზე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში.

ვლადიმერ კონსტანტინიდი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ნაცვლიშვილი

კომისიის წევრი

მამუკა ბარათაშვილი

კომისიის წევრი

თეა ლეკვეიშვილი

კომისიის წევრი

ანა გიორგობიანი

კომისიის წევრი

გიორგი ექიზაშვილი

კომისიის წევრი

ედუარდ ალიკიანი

კომისიის წევრი

კონსტანტინე ხიზანეიშვილი



ხელშეკრულებით